ცნობა

დიმიტრი ქუმსიშვილი დაიბადა 1974 წლის 7 სექტემბერს, ქ. თბილისში;

1992 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი, 1998 წელს – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, სპეციალობით – აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტი; 2007 წელს – ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრის პროგრამა „სერმა მენეჯმენტის სკოლა";

1995-1996 წლებში იყო სს „გაერთიანებული ქართული ბანკის" წამყვანი სპეციალისსტი;

1996-1997 წლებში – შპს „აუდიტკონსალტინგის" რევიზორი;

1997-1999 წლებში – სს „ქართუ ბანკის" ხაზინის უფროსი, 1999 წლიდან 2011 წლამდე – გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე;

2010 წლიდან – შპს „გლობალ კონტაქტ კონსალტინგის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;

2000-2011 წლებში იყო თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;

2011-2012 წლებში – ჰოლდინგ „პალიტრა მედიის" ბიზნესგანვითარების დირექტორი;

2012 წლიდან – დაწყებითი ბიზნესისა და ინოვაციების საინვესტიციო ფონდის დირექტორი, შპს „რეშენალ სოლუშენის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე;

2012 წლის 30 ოქტომბრიდან 2015 წლის 17 მარტამდე იყო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პირველი მოადგილე;

2015 წლის 17 მარტიდან 2015 წლის 1 სექტემბრამდე – თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი);

2015 წლის 1 სექტემბრიდან 2016 წლის 27 ნოემბრამდე იყო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი;

2016 წლის 27 ნოემბრიდან 2017 წლის 13 ნოემბრამდე – საქართველოს ფინანსთა მინისტრი;

2017 წლის 13 ნოემბერს დაინიშნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრად;

2015 წლის 30 დეკემბერს დაეკისრა საქართველოს ვიცე-პრემიერის მოვალეობის შესრულება, 2016 წლის 13 ივნისიდან დღემდე – საქართველოს პირველი ვიცე-პრემიერის მოვალეობის შესრულება;

ფლობს რუსულ და ინგლისურ ენებს.